საქართველოს
სახალხო დამცველი

„ყველას აქვს უფლება ეძიოს და მიიღოს დევნისგან
თავშესაფარი სხვა ქვეყნებში“

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

„საქართველოში მცხოვრებ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და
მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის
თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა
და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა“

„საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის
ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით, საქართველო
თავშესაფარს აძლევს სხვა ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის
არმქონე პირებს“

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს სახალხო
დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

UNHCR
The UN Refugee Agency

პროექტის მიზანი:

თავშესაფრის მაძიებელთა, საერთაშორისო დაცვის მქონე და მოქალაქეობის არმქონე პირთა მდგომარეობის მონიტორინგი, ინფორმაციის მოძიება ჩართული მხარეებისგან და მათი სახელით ადვოკატირება, ქვეყნის მასშტაბით ბენეფიციართა უფლებების გასაუმჯობესებლად და ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. პროექტის ფარგლებში სახალხო დამცველის აპარატი ახორციელებს თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლას, შეფასებასა და სიტუაციურ ანალიზს სისტემური პრობლემის გათვალისწინებით. პროექტი ახდენს სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნულ პირთა სამართლებრივი დაცვის გარანტიის უზრუნველყოფის ანალიზს.

პროექტის ფარგლებში მუშავდება ,,ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ საქართველოში“ სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშის ,,თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობისა“ და ,,მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ქვეთავები, ცალკეული რეკომენდაციებით შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიმართ.

პროექტი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება და მოიცავს მონიტორინგისა და ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს. მათ შორის, პროექტის ფარგლებში ხორციელდება სახელმწიფო საზღვრის მონიტორინგი, ტერიტორიასა და თავშესაფრის პროცედურებზე ხელმისაწვდომობის და არგამვების (non refoulment) პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად; საერთაშორისო დაცვის პროცედურის მონიტორინგი; საერთო სასამართლოებში თავშესაფრის მაძიებელთა საქმეების ანალიზი და მონიტორინგი; პენიტენციალურ დაწესებულებებში უცხოელთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებრივი მდგომარეობისა და თავშესაფრის პროცედურაზე ხელმისაწვდომობის მონიტორინგი.

პროექტის ფარგლებში ხორციელდება მოქალაქოების არმქონე პირის იდენტიფიკაციის სისტემის, სტატუსის დადგენის პროცედურაში მყოფი პირის დახმარების გაუმჯობესებისა და დაცვის მონიტორინგი, რაც საჭიროებს შემდგომ მუშაობას, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე პრაქტიკაში. პროექტის ფარგლებში მზადდება მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ქვეთავი, რომელიც სახალხო დამცველის წლიური ანგარიშის განუყოფელი ნაწილია; პროექტის ფარგლებში დაგეგმილია აქტიური ჩართულობა მიგრაციის სამთავრობო კომისიის ფარგლებში მოქმედ მოქალაქეობის არმქონე პირთა სამუშაო ჯგუფის მუშაობაში. ასევე პროექტში იგეგმება საკანონმდებლო ცვლილებებსა და სტრატეგიულ სამართალწარმოებაში ჩართულობა პარლამენტისა და საკონსტიტუციო სასამართლოს დონეზე.

პროექტი ასევე დახმარებას უწევს სახალხო დამცველის აპარატს თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა საქმეების/განცხადებების განხილვასთან დაკავშირებით. საჭიროებიდან გამომდინარე, პროექტი აანალიზებს ბენეფიციართა უფლებრივ მდგომარეობას ინდივიდუალური შეხვედრებისა და სიტუაციის სისტემური მონიტრინგის მეშვეობით და რეაგირების ფარგლებში რთავს სახალხო დამცველის აპარატის დეპარტამენტებსა და შესაბამის ინსტიტუტებს.

1. ვინ არის სახალხო დამცველი

სახალხო დამცველი (ომბუდსმენი) არის კონსტიტუციური ინსტიტუტი, რომელიც ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, საკუთარი ინიციატივით ან განცხადებისა და საჩივრის საფუძველზე ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლების აღდგენას.

2. ვის შეუძლია მიმართოს სახალხო დამცველს

საქართველოს მოქალაქეს, უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებებს შეუძლიათ მიმართონ სახალხო დამცველს განცხადებით ან საჩივრით

3. რა ფორმით შეიძლება მივმართოთ სახალხო დამცველს

სახალხო დამცველს შეგიძლიათ მიმართოთ წერილობითი განცხადებით ან/და საჩივრით, რომელიც შეგიძლიათ გააგზავნოთ ფოსტით ან უშუალოდ მიიტანოთ სახალხო დამცველის ოფისში

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა საქართველოში:

4. საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განხილვაზე პასუხისმგებელი ორგანო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი არის ერთადერთი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია განცხადების მიღებაზე, განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაზე

5. საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა

უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოში საერთაშორისო დაცვის მიღების ნების გამოხატვა პირდაპირ ან არაპირდპირ, ზეპირად ან წერილობით

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და UNHCR-ის ერთობლივი პროექტი

პროექტის სამიზნე ჯგუფი:

მოქალაქეობის არმქონე პირები, თავშესაფრის მაძიებლები, ლტოლვილები და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები

სახალხო დამცველის ცხელი ხაზი: 1481

მუშაობს 24 საათიან რეჟიმში, მათ შორის, არასამუშაო დღეებსა და საათებში

www.ombudsman.ge
info@ombudsman.ge

სახალხო დამცველის ოფისები:

- **თბილისი**
  დავით აღმაშენებლის გამზირი N 80, თბილისი 0102
  ცხელი ხაზი: 1481 (24/7)
- **ზემო სვანეთი**
  სეტის მოედანი N19
  ტელ.:1481
- **ოზურგეთი**
  ჭავჭავაძის 14
  ტელ.:1481
- **მარნეული**
  რუსთაველის ქ. N51
  მობ.: 591701073 ; 1481
- **ახალქალაქი**
  ჭავჭავაძის ქ. N4
  მობ.: 595807844 ; 1481
- **გორი**
  სამების ქ. N1
  მობ.: 1481
- **ზუგდიდი**
  კოსტავას ქ. N58
  ტელ.: 1481
- **ქუთაისი**
  რუსთაველის ქ.18
  ტელ.:1481
- **ბათუმი**
  დუმბაძის ქ. N10
  ტელ.:1481
- **თელავი**
  ტელ.:1481

ბროშურა დაიბეჭდა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ფინანსური მხარდაჭერით